ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმი N19

ქ.ზუგდიდი **19 ივლისი 2023 წელი**
12:00 სთ

2023 წლის 19 ივლისს გაიმართა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: გიორგი სორდია, ირაკლი გოგოხია, თაზო ფაცაცია, თამუნა ჯიქია, ჯონი ჯიქია, დავით ფიფია, გიორგი კორტავა, დავით ვეკუა, დარეჯან გაბედავა, ლაშა ბეჭვაია, მაია კალანდია, ბეჟან შანავა.

სხდომას არ ესწრებოდნენ: გიგა ფარულავა (შვებულება), კახაბერ ჩანგელია (საპატიო), ოთარ ქადარია, სოსო გოგოხია,

სხდომას ასევე ესწრებოდა: .....-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურის უფროსის მოადგილე, ...-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, ...-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული განყოფილების უფროსი.

სხდომის მდივანი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოების განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი .....

სხდომის დაწყებამდე კომისიის წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია, რეგისტრაციის გავლის შემდეგ სხდომას ესწრებოდა კომისიის 16 წევრიდან 12 წევრი. სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე გიორგი სორდია.
კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი :

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ აბასთუმნისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ხეცერას (ყოფ. აბასთუმნის თემში შემავალი სოფლების) ორთოფოტოების დამტკიცება, მათი საზღვრების გამიჯვნა და დამტკიცება.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე
თანამომხსენებელი: .....-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოადგილე

2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ცაიშისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ცაცხვის (ყოფ. ცაიშის თემში შემავალი სოფლების) ორთოფოტოების დამტკიცება, მათი საზღვრების გამიჯვნა და დამტკიცება.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე
თანამომხსენებელი: .....-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოადგილე

3. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ოდიშისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხოუშის (ყოფ. ოდიშის თემში შემავალი სოფლების) ორთოფოტოების დამტკიცება, მათი საზღვრების გამიჯვნა და დამტკიცება.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: .....-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოადგილე

4. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კოკისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ხურჩას (ყოფ. კოკის თემში შემავალი სოფლების) ორთოფოტოების დამტკიცება, მათი საზღვრების გამიჯვნა და დამტკიცება.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: .....-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოადგილე

5. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდინეძისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდინეძის კახათის (ყოფ. დიდინეძის თემში შემავალი სოფლების) ორთოფოტოების დამტკიცება, მათი საზღვრების გამიჯვნა და დამტკიცება.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: .....-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოადგილე

6. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის, სოფელ უჩაშონას, სოფელ ოფაჩხაფუსა და სოფელ ჯუმის (ყოფ. ახალსოფლის თემში შემავალი სოფლების) ორთოფოტოების დამტკიცება , მათი საზღვრების გამიჯვნა და დამტკიცება.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: .....-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოადგილე

7. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დარჩელისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კიროვის (ყოფ. დარჩელის თემში შემავალი სოფლების) ორთოფოტოების დამტკიცება, მათი საზღვრების გამიჯვნა და დამტკიცება.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: .....-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოადგილე

8. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ინგირისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ოირემეს (ყოფ. ინგირის თემში შემავალი სოფლების) ორთოფოტოების დამტკიცება, მათი საზღვრების გამიჯვნა და დამტკიცება.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: .....-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოადგილე

9. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეტისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ცვანეს (ყოფ. ერგეტის თემში შემავალი სოფლების) ორთოფოტოების დამტკიცება, მათი საზღვრების გამიჯვნა და დამტკიცება.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: .....-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოადგილე

10. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქტომბრისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დავითიანის (ყოფ. ოქტომბრის თემში შემავალი სოფლების) ორთოფოტოების დამტკიცება, მათი საზღვრების გამიჯვნა და დამტკიცება.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: .....-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოადგილე

11. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კორცხელის, სოფელ ნაცატუსა და სოფელ ბაშის (ყოფ. კორცხელის თემში შემავალი სოფლების) ორთოფოტოების დამტკიცება, მათი საზღვრების გამიჯვნა და დამტკიცება.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: .....-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოადგილე

12. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ნარაზენისა და ზუგდიდი მუნიციპალიტეტის სოფელ შამადელას (ყოფილი სოფ. ნარაზენის თემში შემავალი სოფლების) ორთოფოტოების, დამტკიცება, მათი საზღვრების გამიჯვნა და დამტკიცება.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: .....-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოადგილე

13. სხვადასხვა საკითხები.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს კენჭი ეყაროს სხდომის დღის წესრიგს წარმოდგენილი რედაქციით.

კენჭისყრის შედეგად კომისიის წევრებმა დღის წესრიგს მხარი დაუჭირეს ერთხმად.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ აღნიშნა: „დღის წესრიგის 12-ვე საკითხი ერთიდაიგივე თემას ეხება, კერძოდ, ადმინისტრაციული ერთეულების ორთოფოტოების დამტკიცებას, მათი საზღვრების გამიჯვნას და დამტკიცებას. მერიიდან კომისიის სხდომას ესწრება მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოადგილე ბატონი ----------, რომელიც მუშაობდა ამ საკითხზე. მისგან მოვისმინოთ დეტალური ინფორმაცია აღნიშნულ საკითხებზე, განვიხილოთ ყველა საკითხი, ხოლო საკითხები კენჭისყრაზე დავაყენოთ ცალ-ცალკე.“

აზრი გამოთქვეს: მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოადგილემ განმარტა: „როგორც თქვენთვის ცნობილია, 2010-2011-2012 წლებში მოხდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების დამისამართება, გარდა სოფელ რუხისა. 2014 წელს, როდესაც მოხდა ადმინისტრაციული ერთეულების (სოფლების) გაყოფა მაშინ ჩამოყალიბდა რამოდენიმე ადმინისტრაციული ერთეული, მაგალითად, სოფელ დარჩელში შემავალი იყო კიროვის თემი, კოკის თემში შემავალი იყო სოფელი ხურჩა და ა.შ. როდესაც კანონმდებელმა გააუქმა თემი და თემში შემავალი სოფლები, კანონმდებლობაში შემოვიდა ადმინისტრაციული ერთეულების ცნება და შესაბამისად მოხდა დაყოფა: დარჩელი-კიროვი, ერგეტა-ცვანე, ახალსოფელი-უჩაშონა-ოფაჩხაფუ-ჯუმი, ოქტომბერი-დავითიანი, ნარაზენი-შამადელა, ოდიში-ჩხოუში, აბასთუმანი-ხეცერა, ცაიში-ცაცხვი, კოკი-ხურჩა, დიდინეძი-დიდინეძის კახათი, ინგირი-ოირემე, კორცხელი-ნაცატუ-ბაში, თუმცა მათი საზღვრები არ იყო დადგენილი. საზღვრების დადგენასთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ ჩვენ ვიყავით ყველა სოფელში, შევხვდით ადგილობრივ მოსახლეობას და აღებულია ისტორიული საზღვრები. ზოგადად, საზღვრების დადგენის დროს გამოყენებული იყო ღელეები, მდინარეები, კოლექტორული არხები. ისეთი შემთხვევა, რომ ერთი საკადასტრო კოდით რეგიტრირებული ნაკვეთი გაიყო და ნაწილი ერთი სოფლის შემადგენლობაშია და მეორე ნაწილი მეორე სოფელის საზღვრების დადგენის დროს არ მომხდარა. ზოგადად, საჭიროა რომ საზღვრები გამიჯნული იყოს, რადგან სხვადასხვა უწყებიდან გამოგზავნილ მომართვებსა და განცხადებებში ხშირად არის კონკრეტული ქუჩების თუ მიწის ნაკვეთების დაზუსტების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნა. აქედან გამომდინარე, არსებული პროექტით საზღვრები დავაზუსტოთ და დავამტკიცოთ ამ ადმინისტრაციულ ერთეულებში.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 48 ადმინისტრაციული ერთეულიდან ჩვენ დღეს წარმოდგენილი გვაქვს 27 ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრების დაზუსტების პროექტი, მაგრამ დანარჩენ ადმინისტრაციულ ერთეულებში მაგალითად, როგორიცაა კახათი, ახალკახათი და სხვა მათი საზღვრები დამტკიცებული 2011-2012 წლებში და ამათ ჩვენ არ ვეხებით. წარმოდგენილი პროექტები ეს არის შიდა დაყოფა და არც ერთ სოფელს ემატება ტერიტორია და არც აკლდება, ხდება არსებული საზღვრების დადგენა.“

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ აღნიშნა: „რატომ გახდა ამ საზღვრების დაზუსტების საჭიროება.“

აზრი გამოთქვეს: მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოადგილემ განმარტა: „ესენი თემში შემავალი სოფლები იყო და ახლა კანონმდებლობის შესაბამისად წესრიგდება. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში არსებული 48 ადმინისტრაციულ ერთეული რჩება, მხოლოდ ამ 48-დან 27-ში ხდება საზღვრების დაზუსტება.“

აზრი გამოთქვეს: დავით ფიფიამ განაცხდა: „კარგია საზღვრების დაზუსტება რომ ხდება, მაგრამ არის კიდევ ერთი საკითხი-ქუჩების აღრიცხვა და დამისამართება. ამ საკითხზე რა შეგიძლიათ გვითხრათ?“

აზრი გამოთქვეს: მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოადგილემ განმარტა: „იმ სოფლებში, სადაც ჩვენ საზღვრები წარმოვადგინეთ იქ ქუჩები გაყოფილია თავისი ნომრებით, რაც წარმოდგენილ ყველა პროექტებს დანართის სახით თან ერთვის.“

აზრი გამოთქვეს: დავით ფიფიამ აღნიშნა: „იგეგმება თუ არა მომავალში სოფლების მიმართულებით ქუჩების მონაცემების შეყვანა საძიებო სისტემაში ე.წ.ლოკაციების მონიშვნა.“

აზრი გამოთქვეს: მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოადგილემ განმარტა: „საქართველოს მასშტაბით პირველი მუნიციპალიტეტი ვართ, სადაც, საცდელად სოფელი ნაწულუკუ დამუშვებულია სრულად და შესაძლებელია ნავიგაციით მოძრაობა google maps-ის საშუალებით. ზოგადად, ეს არის ძალიან შრომატევადი სამუშაო, დაახლოებით 7-8 თვე მიმდინარეობად მუშაობა სოფელ ნაწულუკუში, რადგან დეტალურად, თითო-თითოდ არის ნაკვეთი გავლილი. მოხდა ყველა საკადასტრო კოდის აღრიცხვა, რომელზეც სპეციალისტები მუშაობდნენ საჯარო რეესტრში. ჩვენ გვაქვს სურვილი მათთან თანამშრომლობის და გამოვხატოთ მზაობა, რადგან ამას ადამიანური რესურსი სჭირდება. ნაწულუკუს შემთხვევაში მერიის დაახლოებით 10-12 თანამშრომელი ვეხმარებოდით რეესტრის წარმომადგენლებს. როგორც აღვნიშნე, საჯარო რეესტრში აქვთ ადამიანური რესურსის პრობლემა, მაგრამ ჩვენ თხოვნაა, რომ მთლიანი მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების მასშტაბით მოხდეს მონაცემების დატანა ამ სპეციალურ პროგრამაში. ეს საგრძნობლად გაადვილებს და გაამარტივებს პირველ რიგში, როგორც სასწრაფო სამედიცინო დახმარებას, ასევე სამაშველო და სახანძრო სამსახურების მუშაობას.“

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ აღნიშნა: „თავის დროზეც ვამბობდი და ახლაც ამ აზრის ვარ არ იყო გასაყოფი ადმინისტრაციული ერთეულები და მუნიციპალიტეტში უნდა დარჩენილიყო 31 სოფელი.“

აზრი გამოთქვეს: მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოადგილემ განმარტა: „ბატონო გიორგი, ეს დაყოფა შემთხვევით არ მომხდარა, ეს მოხდა კანონმდებლობის შესაბამისად.“

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ აღნიშნა: „ამ საზღვრების დადგენის შემდეგ არჩევნების დროს რამე იცვლება, ვგულისხმობ ხმის მიცემას უბნების მიხედვით.“

აზრი გამოთქვეს: მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოადგილემ განმარტა: „ჩვენ ადმინისტრაციული ერთეულების ახალ საზღვრებს არ ვადგენთ, არამედ არსებულს ვამტკიცებთ და ამით სოფლების საზღვრები არ იცვლება. რაც შეხება არჩევნებს და სამაჟორიტარო უბნებს, ეს წმინდა საარჩევნო სისტემის საკითხია. უბნები დამოკიდებულია მოსახლეობის რაოდენობაზე და ა.შ. კიდევ ერთხელ განვმარტავ, ჩვენ დღეს საზღვრებს ვაზუსტებთ, არც ერთ ადმინისტრაციულ ერთეულებს არც არაფერი ემატება და არც არაფერი არ აკლდება ტერიტორიულად.“

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ აღნიშნა: „დღემდე რამე სამართლებრივი აქტი იყო მიღებული ამ სოფლებთან დაკავშირებით საზღვრებთან მიმართებაში.“

აზრი გამოთქვეს: მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა განმარტა: „ადმინისტრაციული ერთეულების შექმნაზე იყო მიღებული შესაბამისი აქტები, მაგრამ საზღვრებთან დაკავშირებით არა. 2014 წელს, ადმინისტრაციული ერთეულების შექმნის დროს მიღებულ იქნა რუკებიც, მაგრამ ახლა წარმოდგენილი რუკები არის უფრო დაზუსტებული და უფრო ნათლად არის ამ რუკებზე დატანილი საზღვრები.“

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ აღნიშნა: „ფაქტობრივი მდგომარეობა, რაც გვაქვს ახლა არსებული, სადმე რამე შეიცვალა?“

აზრი გამოთქვეს: მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოადგილემ განმარტა: „რა პროექტიც გვქონდა გაკეთებული, მუშა პროცესში ერთადერთი იყო შამადელა, სადაც მერის წარმომადგენელმა და შესაბამისად ადგილობრივმა მოსახლეობამ მოითხოვა ისტორიულ საზღვრებში დაბრუნება, რადგან ჩვენ ნახაზის მიხედვით აცდენილი ვიყავით საზღვრებს.

მოხდა ადგილზე გასვლა და შეტანილ იქნა კორექტირება და ნარაზენის მცირე ნაწილი მიერთებული იქნა შამადელას, რომლესაც დაეთანხმა ნარაზენის მერის წარმომადგენელი და მოსახლეობაც. დანარჩენ ადმინისტრაციულ ერთეულებში კი მსგავსი შემთხვევები არ ყოფილა."

აზრი გამოთქვეს: დავით ფიფიამ აღნიშნა: „ჯიხაშკარში არსებული ისტორიული ციხე „ჯიხა" ჭაქვინჯის ადმინისტრაციულ ერთეულში შედის, ხოლო მოსახლეობის თქმით ჯიხაშკარის ადმინისტრაცილ ერთეულს ეკუთვნის. ამ თემასთან დაკავშირებით რა შეგიძლიათ გვითხრათ."

აზრი გამოთქვეს: მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოადგილემ განმარტა: „თქვენ რა საკითხსაც შეეხეთ ამასთან დაკავშირებით შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენ მუშაობის პროცესში ამას არ შევხებივართ, რადგან ჩვენ დამტკიცებული საზღვრების ფარგლებში ვმოქმედებდით. 2011 წელს რა განკარგულებაც იქნა მიღებული ჩვენ არ შევხებივართ არც ჯიხაშკარის და არც სხვა სოფლებთან მიმართებაში საზღვრებს. ეს საზღვრების დადგენა და დამისამართება მიმდინარეობდა 2010-2012 წლებში, მხოლოდ რუხი არ იყო დამისამართებული, რადგან ქალაქთან საზღვრები არ იყო გავლებული, ამიტომ იმ პერიოდში რუხი დარჩა."

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ აღნიშნა: „განკარგულების პროექტზე გვქონდა მსჯელობა თუ როგორ უნდა ჩამოყალიბდეს საბოლოო ვარიანტი."

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროსმა განაცხადა: „კითხვა გვაქვს თქვენთან. თქვენ წერილით ითხოვთ საზღვრების გამიჯვნას. ვინაიდან თვითმმართველობის კოდექსი და წესი, რომლითაც რეგულირდება ადმინისტრაციული საზღვრები არ იცნობს ასეთ ტერმინს „საზღვრების გამიჯვნა", კომისიაზე უნდა შევთანხმდეთ განკარგულება რა სახით უნდა ჩამოვაყალიბოთ და სახით უნდა წარდგეს საკრებულოს სხდომაზე."

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს აპარატის უფროსმა განაცხადა: „ეს ისეთი თემაა, კანონში არ არის ამაზე კონკრეტიზაცია და ცოტა რთულია ჩვენთვის, რადგან როგორც აღინიშნა, ამაზე კანონში არაფერი არ წერია და პრაქტიკაშიც არ გვქონია მსგავსი შემთხვევა, ამიტომ მარტო ჩვენს ვერ გადავწყვეტთ როგორ ჩამოყალიბდეს განკარგულების პროექტი, ყველამ ერთად ვიმსჯელოთ და ისე მივიღოთ გადაწყვეტილება."

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ აღნიშნა: „საზღვრების გამიჯვნის ნაცვლად საზღვრების დადგენა ან დაზუსტება რომ იყო ჩაწერილი ეს რამე პრობლემას ქმნის?"

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროსმა განაცხადა: „საზღვრის დადგენა ცალკე პროცედურაა."

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ აღნიშნა: „ჩვენ მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციული ერთეულების საზღვრები ემთხვევა სოფლების საზღვრებს, მაგრამ გვაქვს რამოდენიმე ადმინისტრაციული ერთეული, სადაც ერთ ადმინისტრაციულ ერთეულში ორი სოფელი შედის, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა ეძახის უბანს. ამ ადმინისტრაციულ ერთეულებში ეს სოფლებიც გამიჯნული გვაქვს (საზღვრები)?"

აზრი გამოთქვეს: მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოადგილემ განმარტა: „ასეთი სოფელი არის 10 და ამ სოფლებში არ გვაქვს გამიჯნული საზღვრები."

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ აღნიშნა: „როგორც თქვენ ამბობთ (მიმართა ნატალია პაპასკირს და ნინო დაგარგულიას) საზღვრის დადგენას სხვა პროცედურები სჭირდება, საზღვრების დაზუსტებასთან დაკავშირებით რა ხდება."

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროსმა განაცხადა: „კანონი ტერმინს „დაზუსტებას" არ იცნობს, ისევე როგორც „გამიჯვნას" არ იცნობს."

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს აპარატის უფროსმა განაცხადა: „ეს არის თემა, რომელიც სიღრმისეულად არ ვიცით და არ გვესმის, რადგან ამის არც პრაქტიკა და არც გამოცდილება

არ გვქონია, ამიტომ სანამ დამტკიცებულ პროექტს გავაგზავნით მთავრობის ადმინისტრაციაში, ვიმსჯელოთ, შევჯერდეთ და ისე მივიღოთ გადაწყვეტილება.“

აზრი გამოთქვეს: მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოადგილემ განმარტა: „ჩვენ ვთანხმდებით თუ არა იმაზე, რომ გვქონდეს რუკები ჩაშლილი საზღვრებით და თუ ვთანხმდებით განკარგულების ფორმულირებაზე ჩვენ შევთანხმდეთ (იგულისხმება იურისტები).“

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ აღნიშნა: „როგორც გამოდის ფაქტობრივი მდგომარეობის დადგენას ვახდენთ ახლა და თუ საზღვრებთან მიმართებაში არ გვაქვს კითხვები და პრობლემები, კომისიამ მიიღოს გადაწყვეტილება და განკარგულების პროექტზე ჩვენ ვიმსჯელოთ, შევჯერდეთ (მიმართა იურისტებს) და საკრებულოს სხდომისთვის მოვამზადოთ განკარგულები პროექტები. ბატონო დავით, საბოლოოდ მინდა დავაზუსტო -აქ რა საკითხებიც არის წარმოდგენილი მოსახლეობასთან და რწმუნებულებთან ერთად გავლილია.“

აზრი გამოთქვეს: მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოადგილემ განმარტა: „დიახ, ყველა საკითხი გავლილია დეტალურად ადგილობრივ მოსახლეობასთან და რწმუნებულებთან ერთად. დღეს წარმოდგენილი მაქვს მერის რწმუნებულების ოფიციალური წერილები, რომლებსაც შეგიძლიათ გეცნოთ.“ (წერილები ოქმს თან ერთვის).

კომისიის წევრების მხრიდან საკითხებზე მსჯელობის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ დღის წესრიგის საკითხები წარმოადგინა და დააყენა კენჭისყრაზე ცალ-ცალკე.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **პირველ საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2022 წლის 15 აგვისტოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-2422227131 მომართვა (რეგისტრაციის N12-25222277-25 15.08.2028წ), რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ აბასთუმნისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ხეცერას (ყოფ. აბასთუმნის თემში შემავალი სოფლების) ორთოფოტოების დამტკიცება, მათი საზღვრების გამიჯვნას და დამტკიცებას.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განმარტა: „კომისიაზე საკითხის განხილვის დროს გამოიკვეთა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არასრულად არის მომზადებული. აქედან გამომდინარე, შემოვდივარ წინადადებით საკითხზე გადაწყვეტილების მიღება გადავდოთ კომისიის მომდევნო სხდომამდე, რათა იურისტების მიერ სრულყოფილად და კანონის შესაბამისად მოხდეს განკარგულების პროექტის ჩამოყალიბება.“

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არა აქვთ რაიმე სახის წინადადება ან შენიშვნა.

კომისიის წევრების მიერ განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე მასზე გადაწყვეტილების მიღების გადადების მიზნით.

კენჭისყრის შედეგად საკითხზე

მომხრე: 12

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ აბასთუმნისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ხეცერას (ყოფ. აბასთუმნის თემში შემავალი სოფლების) ორთოფოტოების დამტკიცება, მათი საზღვრების გამიჯვნა და დამტკიცება” ჩაითვალოს არასაკმარისად მომზადებულად. მომზადდეს სრულყოფილად განკარგულების პროექტი,

წარმოდგენილ იქნას კომისიის მომდევნო სხდომაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მეორე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2022 წლის 15 აგვისტოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-2422227141 მომართვა (რეგისტრაციის N12-25222279-25 15.08.2023წ), რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ცაიშისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ცაცხვის (ყოფ. ცაიშის თემში შემავალი სოფლების) ორთოფოტოების დამტკიცება, მათი საზღვრების გამიჯვნას და დამტკიცებას.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განმარტა: „კომისიაზე საკითხის განხილვის დროს გამოიკვეთა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არასრულად არის მომზადებული. აქედან გამომდინარე, შემოვდივარ წინადადებით საკითხზე გადაწყვეტილების მიღება გადავდოთ კომისიის მომდევნო სხდომამდე, რათა იურისტების მიერ სრულყოფილად და კანონის შესაბამისად მოხდეს განკარგულების პროექტის ჩამოყალიბება.“

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არა აქვთ რაიმე სახის წინადადება ან შენიშვნა.

კომისიის წევრების მიერ განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე მასზე გადაწყვეტილების მიღების გადადების მიზნით.

კენჭისყრის შედეგად საკითხზე

მომხრე: 12

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ცაიშისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ცაცხვის (ყოფ. ცაიშის თემში შემავალი სოფლების) ორთოფოტოების დამტკიცება, მათი საზღვრების გამიჯვნა და დამტკიცება” ჩაითვალოს არასაკმარისად მომზადებულად. მომზადდეს სრულყოფილად განკარგულების პროექტი, წარმოდგენილ იქნას კომისიის მომდევნო სხდომაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მესამე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2022 წლის 15 აგვისტოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-2422227140 მომართვა (რეგისტრაციის N12-252222710-25 15.08.2023წ), რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ოდიშისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხოუშის (ყოფ. ოდიშის თემში შემავალი სოფლების) ორთოფოტოების დამტკიცება, მათი საზღვრების გამიჯვნას და დამტკიცებას.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განმარტა: „კომისიაზე საკითხის განხილვის დროს გამოიკვეთა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არასრულად არის მომზადებული. აქედან გამომდინარე, შემოვდივარ წინადადებით საკითხზე გადაწყვეტილების მიღება გადავდოთ კომისიის მომდევნო სხდომამდე, რათა იურისტების მიერ სრულყოფილად და კანონის შესაბამისად მოხდეს განკარგულების პროექტის ჩამოყალიბება.“

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არა აქვთ რაიმე სახის წინადადება ან შენიშვნა.

კომისიის წევრების მიერ განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე მისზე გადაწყვეტილების მიღების გადადების მიზნით.

კენჭისყრის შედეგად საკითხზე

მომხრე: 12

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ოდიშისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხოუშის (ყოფ. ოდიშის თემში შემავალი სოფლების) ორთოფოტოების დამტკიცება, მათი საზღვრების გამიჯვნა და დამტკიცება" ჩაითვალოს არასაკმარისად მომზადებულად. მომზადდეს სრულყოფილად განკარგულების პროექტი, წარმოდგენილ იქნას კომისიის მომდევნო სხდომაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მეოთხე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2022 წლის 15 აგვისტოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-2422227139 მომართვა (რეგისტრაციის N12-252222711-25 15.08.2023წ), რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კოკისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ხურჩას (ყოფ. კოკის თემში შემავალი სოფლების) ორთოფოტოების დამტკიცება, მათი საზღვრების გამიჯვნას და დამტკიცებას.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განმარტა: „კომისიაზე საკითხის განხილვის დროს გამოიკვეთა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არასრულად არის მომზადებული. აქედან გამომდინარე, შემოვდივარ წინადადებით საკითხზე გადაწყვეტილების მიღება გადავდოთ კომისიის მომდევნო სხდომამდე, რათა იურისტების მიერ სრულყოფილად და კანონის შესაბამისად მოხდეს განკარგულების პროექტის ჩამოყალიბება."

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არა აქვთ რაიმე სახის წინადადება ან შენიშვნა.

კომისიის წევრების მიერ განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე მასზე გადაწყვეტილების მიღების გადადების მიზნით.

კენჭისყრის შედეგად საკითხზე

მომხრე: 12

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კოკისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ხურჩის (ყოფ. კოკის თემში შემავალი სოფლების) ორთოფოტოების დამტკიცება, მათი საზღვრების გამიჯვნა და დამტკიცება" ჩაითვალოს არასაკმარისად მომზადებულად. მომზადდეს სრულყოფილად განკარგულების პროექტი, წარმოდგენილ იქნას კომისიის მომდევნო სხდომაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მეხუთე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2022 წლის 15 აგვისტოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-2422227136 მომართვა (რეგისტრაციის N12-252222712-25 15.08.2023წ), რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდინეძისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდინეძის კახათის (ყოფ. დიდინეძის თემში შემავალი სოფლების) ორთოფოტოების დამტკიცება, მათი საზღვრების გამიჯვნას და დამტკიცებას.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განმარტა: „კომისიაზე საკითხის განხილვის დროს გამოიკვეთა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არასრულად არის მომზადებული. აქედან გამომდინარე, შემოვდივარ წინადადებით საკითხზე გადაწყვეტილების მიღება გადავდოთ კომისიის მომდევნო სხდომამდე, რათა იურისტების მიერ სრულყოფილად და კანონის შესაბამისად მოხდეს განკარგულების პროექტის ჩამოყალიბება.“

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არა აქვთ რაიმე სახის წინადადება ან შენიშვნა.

კომისიის წევრების მიერ განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე მასზე გადაწყვეტილების მიღების გადადების მიზნით.

კენჭისყრის შედეგად საკითხზე

მომხრე: 12

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდინეძისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდინეძის კახათის (ყოფ. დიდინეძის თემში შემავალი სოფლების) ორთოფოტოების დამტკიცება, მათი საზღვრების გამიჯვნა და დამტკიცება” ჩაითვალოს არასაკმარისად მომზადებულად. მომზადდეს სრულყოფილად განკარგულების პროექტი, წარმოდგენილ იქნას კომისიის მომდევნო სხდომაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მეექვსე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2022 წლის 15 აგვისტოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-2422227135 მომართვა (რეგისტრაციის N12-252222714-25 15.08.2023წ), რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის, სოფელ უჩაშონას, სოფელ ოფაჩხაფუსა და სოფელ ჯუმის (ყოფ. ახალსოფლის თემში შემავალი სოფლების) ორთოფოტოების დამტკიცება, მათი საზღვრების გამიჯვნას და დამტკიცებას.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განმარტა: „კომისიაზე საკითხის განხილვის დროს გამოიკვეთა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არასრულად არის მომზადებული. აქედან გამომდინარე, შემოვდივარ წინადადებით საკითხზე გადაწყვეტილების მიღება გადავდოთ კომისიის მომდევნო სხდომამდე, რათა იურისტების მიერ სრულყოფილად და კანონის შესაბამისად მოხდეს განკარგულების პროექტის ჩამოყალიბება.“

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არა აქვთ რაიმე სახის წინადადება ან შენიშვნა.

კომისიის წევრების მიერ განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე მასზე გადაწყვეტილების მიღების გადადების მიზნით.

კენჭისყრის შედეგად საკითხზე

მომხრე: 12

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის, სოფელ უჩაშონას, სოფელ ოფაჩხაფუს და სოფელ ჯუმის (ყოფ. ახალსოფლის თემში შემავალი სოფლების) ორთოფოტოების დამტკიცება, მათი საზღვრების გამიჯვნა და დამტკიცება" ჩაითვალოს არასაკმარისად მომზადებულად. მომზადდეს სრულყოფილად განკარგულების პროექტი, წარმოდგენილ იქნას კომისიის მომდევნო სხდომაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მეშვიდე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2022 წლის 15 აგვისტოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-2422227125 მომართვა (რეგისტრაციის N12-252222716-25 15.08.2023წ), რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დარჩელისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კიროვის (ყოფ. დარჩელის თემში შემავალი სოფლების) ორთოფოტოების დამტკიცება, მათი საზღვრების გამიჯვნას და დამტკიცებას.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განმარტა: „კომისიაზე საკითხის განხილვის დროს გამოიკვეთა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არასრულად არის მომზადებული. აქედან გამომდინარე, შემოვდივარ წინადადებით საკითხზე გადაწყვეტილების მიღება გადავდოთ კომისიის მომდევნო სხდომამდე, რათა იურისტების მიერ სრულყოფილად და კანონის შესაბამისად მოხდეს განკარგულების პროექტის ჩამოყალიბება."

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არა აქვთ რაიმე სახის წინადადება ან შენიშვნა.

კომისიის წევრების მიერ განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე მასზე გადაწყვეტილების მიღების გადადების მიზნით.

კენჭისყრის შედეგად საკითხზე

მომხრე: 12

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დარჩელისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კიროვის (ყოფ. დარჩელის თემში შემავალი სოფლების) ორთოფოტოების დამტკიცება, მათი საზღვრების გამიჯვნა და დამტკიცება" ჩაითვალოს არასაკმარისად მომზადებულად. მომზადდეს სრულყოფილად განკარგულების პროექტი, წარმოდგენილ იქნას კომისიის მომდევნო სხდომაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მერვე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2022 წლის 15 აგვისტოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-2422227134 მომართვა (რეგისტრაციის N12-252222717-25 15.08.2023წ), რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ინგირისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ოირემეს

(ყოფ. ინგირის თემში შემავალი სოფლების) ორთოფოტოების დამტკიცება, მათი საზღვრების გამიჯვნას და დამტკიცებას.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განმარტა: „კომისიაზე საკითხის განხილვის დროს გამოიკვეთა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არასრულად არის მომზადებული. აქედან გამომდინარე, შემოვდივარ წინადადებით საკითხზე გადაწყვეტილების მიღება გადავდოთ კომისიის მომდევნო სხდომამდე, რათა იურისტების მიერ სრულყოფილად და კანონის შესაბამისად მოხდეს განკარგულების პროექტის ჩამოყალიბება.“

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არა აქვთ რაიმე სახის წინადადება ან შენიშვნა.

კომისიის წევრების მიერ განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე მასზე გადაწყვეტილების მიღების გადადების მიზნით.

კენჭისყრის შედეგად საკითხზე

მომხრე: 12

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ინგირისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ოირემეს (ყოფ. ინგირის თემში შემავალი სოფლების) ორთოფოტოების დამტკიცება, მათი საზღვრების გამიჯვნა და დამტკიცება” ჩაითვალოს არასაკმარისად მომზადებულად. მომზადდეს სრულყოფილად განკარგულების პროექტი, წარმოდგენილ იქნას კომისიის მომდევნო სხდომაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მეცხრე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2022 წლის 15 აგვისტოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-2422227133 მომართვა (რეგისტრაციის N12-252222718-25 15.08.2023წ), რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეტისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ცვანეს (ყოფ. ერგეტის თემში შემავალი სოფლების) ორთოფოტოების დამტკიცება, მათი საზღვრების გამიჯვნას და დამტკიცებას.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განმარტა: „კომისიაზე საკითხის განხილვის დროს გამოიკვეთა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არასრულად არის მომზადებული. აქედან გამომდინარე, შემოვდივარ წინადადებით საკითხზე გადაწყვეტილების მიღება გადავდოთ კომისიის მომდევნო სხდომამდე, რათა იურისტების მიერ სრულყოფილად და კანონის შესაბამისად მოხდეს განკარგულების პროექტის ჩამოყალიბება.“

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არა აქვთ რაიმე სახის წინადადება ან შენიშვნა.

კომისიის წევრების მიერ განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე მასზე გადაწყვეტილების მიღების გადადების მიზნით.

კენჭისყრის შედეგად საკითხზე

მომხრე: 12

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეტისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ცვანეს (ყოფ. ერგეტის თემში შემავალი სოფლების) ორთოფოტოების დამტკიცება, მათი საზღვრების გამიჯვნა და დამტკიცება" ჩაითვალოს არასაკმარისად მომზადებულად. მომზადდეს სრულყოფილად განკარგულების პროექტი, წარმოდგენილ იქნას კომისიის მომდევნო სხდომაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მეათე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2022 წლის 16 აგვისტოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-2422228112 მომართვა (რეგისტრაციის N12-25222283-25 16.08.2023წ), რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქტომბრისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დავითიანის (ყოფ. ოქტომბრის თემში შემავალი სოფლების) ორთოფოტოების დამტკიცება, მათი საზღვრების გამიჯვნას და დამტკიცებას.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განმარტა: „კომისიაზე საკითხის განხილვის დროს გამოიკვეთა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არასრულად არის მომზადებული. აქედან გამომდინარე, შემოვდივარ წინადადებით საკითხზე გადაწყვეტილების მიღება გადავდოთ კომისიის მომდევნო სხდომამდე, რათა იურისტების მიერ სრულყოფილად და კანონის შესაბამისად მოხდეს განკარგულების პროექტის ჩამოყალიბება."

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არა აქვთ რაიმე სახის წინადადება ან შენიშვნა.

კომისიის წევრების მიერ განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე მასზე გადაწყვეტილების მიღების გადადების მიზნით.

კენჭისყრის შედეგად საკითხზე

მომხრე: 12

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქტომბრისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დავითიანის (ყოფ. ოქტომბრის თემში შემავალი სოფლების) ორთოფოტოების დამტკიცება, მათი საზღვრების გამიჯვნა და დამტკიცება" ჩაითვალოს არასაკმარისად მომზადებულად. მომზადდეს სრულყოფილად განკარგულების პროექტი, წარმოდგენილ იქნას კომისიის მომდევნო სხდომაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მეთერთმეტე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2022 წლის 23 აგვისტოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-242223595 მომართვა (რეგისტრაციის N12-25222357-25 23.08.2023წ), რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კორცხელის, სოფელ ნაცატუს და სოფელ ბაშის (ყოფ. კორცხელის თემში შემავალი სოფლების) ორთოფოტოების დამტკიცება, მათი საზღვრების გამიჯვნას და დამტკიცებას.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განმარტა: „კომისიაზე საკითხის განხილვის დროს გამოიკვეთა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არასრულად არის მომზადებული. აქედან გამომდინარე, შემოვდივარ წინადადებით საკითხზე გადაწყვეტილების მიღება გადავდოთ კომისიის მომდევნო სხდომამდე, რათა იურისტების მიერ სრულყოფილად და კანონის შესაბამისად მოხდეს განკარგულების პროექტის ჩამოყალიბება.“

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არა აქვთ რაიმე სახის წინადადება ან შენიშვნა.

კომისიის წევრების მიერ განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე მასზე გადაწყვეტილების მიღების გადადების მიზნით.

კენჭისყრის შედეგად საკითხზე

მომხრე: 12

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კორცხელის, სოფელ ნაცატუს და სოფელ ბაშის (ყოფ. კორცხელის თემში შემავალი სოფლების) ორთოფოტოების დამტკიცება, მათი საზღვრების გამიჯვნა და დამტკიცება” ჩაითვალოს არასაკმარისად მომზადებულად. მომზადდეს სრულყოფილად განკარგულების პროექტი, წარმოდგენილ იქნას კომისიის მომდევნო სხდომაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მეთორმეტე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 14 მარტს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-2423073122 მომართვა (რეგისტრაციის N12-252307310-25 14.03.2023წ), რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ნარაზენისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ შამადელას (ყოფ. ნარაზენის თემში შემავალი სოფლების) ორთოფოტოების დამტკიცება, მათი საზღვრების გამიჯვნას და დამტკიცებას.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განმარტა: „კომისიაზე საკითხის განხილვის დროს გამოიკვეთა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არასრულად არის მომზადებული. აქედან გამომდინარე, შემოვდივარ წინადადებით საკითხზე გადაწყვეტილების მიღება გადავდოთ კომისიის მომდევნო სხდომამდე, რათა იურისტების მიერ სრულყოფილად და კანონის შესაბამისად მოხდეს განკარგულების პროექტის ჩამოყალიბება.“

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არა აქვთ რაიმე სახის წინადადება ან შენიშვნა.

კომისიის წევრების მიერ განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე მასზე გადაწყვეტილების მიღების გადადების მიზნით.

კენჭისყრის შედეგად საკითხზე

მომხრე: 12

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ნარაზენისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ შამადელას (ყოფ. ნარაზენის თემში შემავალი სოფლების) ორთოფოტოების დამტკიცება, მათი საზღვრების გამიჯვნა და დამტკიცება”

ჩაითვალოს არასაკმარისად მომზადებულად. მომზადდეს სრულყოფილად განკარგულების პროექტი, წარმოდგენილ იქნას კომისიის მომდევნო სხდომაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით წინადადებები არ გამოთქმულა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა
და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

გიორგი სორდია

ხელმოწერილია